საქართველოს მთავრობის

დადგენილება №645

2015 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 17/01/2014, 300160070.10.003.017677) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ ტექნიკურ რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის VI თავი:

„თავი VI. სხვა დებულებები

მუხლი 34. განაშენიანების ძირითადი დებულებებისგან განსხვავებული ან/და დამატებითი მოთხოვნებისა და პირობების დადგენა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიისათვის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებით, შესაძლებელია განაშენიანების ძირითადი დებულებებისგან განსხვავებული ან/და დამატებითი მოთხოვნებისა და პირობების დადგენა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**